

# რა საფრთხეებს შეიცავს სამცხე-ჯავახეთში დაგეგმილი ჰესების მშენებლობა »

sknews.ge/index.php

## რა საფრთხეებს შეიცავს სამცხე-ჯავახეთში დაგეგმილი ჰესების მშენებლობა

მთავარი → [სიახლე](#), ეკონომიკა 02.05.2019

**ეკოლოგები, სამცხე-ჯავახეთის მდინარეებზე დაგეგმილი და უკვე მოქმედი ჰესებისგან გამონვეულ საფრთხეებზე საუბრობენ. მათი თქმით, ჰესები ისე შენდება, რომ გარემოზე ზემოქმედების მანვენივლი შესწავლილი არ არის.**



ყოფილ ენერჯეტიკის სამინისტროში სამცხე-ჯავახეთის მასშტაბით, მდინარეებზე თერთმეტი სხვადასხვა სიმძლავრის ჰესის მშენებლობა დაიგეგმა. ეკოლოგების ნაწილი კი ფიქრობს, რომ სანამ უშუალოდ მშენებლობა დაიწყება, იქამდე გარემოზე მათი ზემოქმედების შესწავლა უნდა მოხდეს.

როგორც ისინი ამბობენ, საქართველოში ჰესები დადგენილი, ევროპული სტანდარტების შესაბამისად არ შენდება, რის გამოც გარემოს ეკოლოგიური ზარალი ადგება.

„დეველოპერებს ურჩევნიათ არა ევროსტანდარტებს, არამედ საბჭოთა სტანდარტებს მიმართონ, რადგან მოგება მეტი რჩებათ. ისინი მთავრობის ნებართვით, მდინარიდან

წყლის დიდ ოდენობას იღებენ. საბოლოოდ, მდინარეში წყლის მხოლოდ ათი პროცენტი რჩება, რის გამოც ეკოლოგია ნადგურდება. ამიტომ ჩვენი მოთხოვნაა საქართველოს მთავრობამ და დეველოპერებმა იმუშაონ ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად, რაც გულისხმობს იმდენი წყლის დატოვებას, რომ უზრუნველყოფილი იყოს მდინარის ეკოლოგიური და სოციალური დანიშნულება, მხოლოდ ამის შემდეგ, ენერგეტიკული დანიშნულება“, - განმარტავს „მწვანე ალტერნატივას“ კონსერვაციის პროგრამის კოორდინატორი ირაკლი მაჭარაშვილი.

ეკოლოგი მიიჩნევს, რომ ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებული მთავარი პრობლემა, ის არის, რომ მათი გარემოზე ზემოქმედების შესწავლა არ ხდება. მისივე თქმით, მთავრობა ჯერ მშენებლობაზე აფორმებს შემორანდუმს, განსაზღვრავს ფასსა და ადგილს, გარემოზე ზემოქმედების შეფასება კი ამის შემდეგ ხდება.

„პანკისში გარემოზე ზემოქმედების ანგარიში გადაწერილი იყო სხვა ანგარიშიდან და რეალური ზემოქმედება გაუგებარი იყო. თქვენ რომ ოპერაცია დაგინიშნონ და ექიმმა გითხრათ, მე თქვენ ანალიზებს კიარ აგიღებთ, ორი წლის წინ პაციენტს გავუკეთე ანალიზი და იმის შესაბამის ოპერაციას გაგიკეთებო, გაგინდებათ თუ არა პროტესტის განცდა? ასე აშენდა ჰესები სამცხე-ჯავახეთშიც, ამის მაგალითია „მტკვარი ჰესი“, რომელიც არ იყო საკმარისად შესწავლილი და გვირახი არასწორად აშენდა“, - განმარტავს მაჭარაშვილი.

ჰესების მშენებლობას დადებითად აფასებს, თუმცა პრობლემას კვლავ გარემოზე ზემოქმედების შეუსწავლელობაში ხედავს ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტის დირექტორი ლაშა გოცირიძე: „ეკონომიკის ზრდასთან ერთად, ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა მუდმივად გაიზრდება და უკეთესი იქნება, თუ მოთხოვნა ადგილობრივი წარმოებით დაკმაყოფილდება. მნიშვნელოვანია ჰესებზე ადგილობრივების დასაქმებაც. მაგრამ ყველა ინვესტიცია ეკოლოგიის მკაცრი დაცვით უნდა განხორციელდეს. ინვესტორმა რისკიანი გადაწყვეტილება არ უნდა მიიღოს“.

პარლამენტის ოპოზიციონერი დეპუტატი პარტია „სოციალ-დემოკრატებიდან“, ბექა ნაცვლიშვილი მიიჩნევს, რომ ჰესების მშენებლობა სარგებლიანი იქნება, იმ შემთხვევაში, თუ იგი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში შევა. მისივე თქმით, ჰესის მუშაობით ადგილობრივებმა უნდა ისარგებლონ და არა ინვესტორებმა. დეპუტატი ამას რეალურ დეცენტრალიზაციას უწოდებს:

„დღეს ჰესებიდან სარგებელს მხოლოდ ინვესტორი ნახულობს, რომელსაც გარანტირებული ტარიფით უღებენ ხელშეკრულებას. ეს დენის ტარიფს აძვირებს, სახელმწიფო კი ზარალდება. ჰესების ადგილობრივებისთვის გადაცემის შემთხვევაში, სიძვირის პრობლემაც მოიხსნებოდა და ფულიც ადგილობრივ ბიუჯეტში ნავიდოდა. ეს არის დეცენტრალიზაცია, თორე მერს აირჩევ თუ გამგებელს, მუნიციპალიტეტს თუ არაფერი გააჩნია, ამას არ ექნება მნიშვნელობა“, - ამბობს ნაცვლიშვილი.

რა მეთოდებით ხდება გარემოზე ზემოქმედების შესწავლა, ამის შესახებ „სამხრეთის კარიბჭემ“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს რამდენჯერმე მიმართა, თუმცა მათგან კომენტარი ვერ მივიღეთ.

ეკოლოგები განმარტავენ, რომ ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების საშუალო ღირებულება ჰესის მშენებლობის 0,01%-ს შეადგენს, თუმცა ინვესტორებს ამ თანხის გაღება არ სურთ.

გარდა სამინისტროში დაგეგმილი 11 ჰესისა, სამცხე-ჯავახეთში უკვე დასრულებულია „მტკვარი ჰესის“ მშენებლობა, რომელიც ექსპლუატაციაში 2019 წელს შევა და „ფარავანი“ ჰესი, რომელიც ექსპლუატაციაში უკვე შესულია.

[ავთო ინასარიძე, ახალციხე]